წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი 21 ივლისი

საქართველო

№ 410

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

სომხის კათალიკოსი თბილისში

26 ივნისს ამა წელს.

მოგყუებული ქმარი.

მხიარული კომედია—ფარსი 3 ნაწ.

პროგრამის გარეშე **ქურდი მიცვალებული** ძლიერი დრამა საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

ანოანსი: 21 ივლისიდან, **ოჯახერ გადარჩენილი ქალი.** თანამედროვე დრამა ნაწ. ო. ბენეტიტი და ე. გონეს მონაწილ.

ქალაქის მამები კომედია 2 ნაწ. კამილლო-დე-რიზას მონაწილეობით.

ელექტრო „**რადიუმ**“ თეატრი

ორშაბათიდან, 18 ივლისიდან ახალი პროგრამა

სპორტი იაპონიაში, სანახაობა.

ქალთა გულის დამპყრობი იური ნაგორნი.

დრამა 4 ნაწ. ბ.ბ. გრომოვის, ნაზაროვისდ.ქ.ბაუერის და რებიკოვის მონაწილეობით.

ბრიგუეტტას ჩოჩორი. სახუმარო.

ანოანსი. მე თქვენ გნახეთ გუშინ სიზმარში. ძლიერი დრამა 3 ნაწ. გამოჩ. მსახიობთა პანოვის, ა. ვერლენის და აზაგაროვის მონაწილეობით.

დასჯილი ანტონი. დრ 2 ნაწ. გამოჩენილ მსახიობთა მონაწილეობით.

იძლევა იჯარით ჩემ მიერ იჯარით აღებული

სადორჩის აგარაკზე **საეზოვო მიწა** ორასი კვად. საქენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,

ექიმი ა. მ. **ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი **ი. ჩარეიძე** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დიდის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და სადამოს 6 ს.—8 საათ.

2 გოსპიტალის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

აძლევს გაკვეთილებს

ფრანგულ ენისას.

იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში.

დ. ლაილაში.

კბილის ექიმი

ანნა პარმენის ასული ეგანოვიძე

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაკაბაშვილისა.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და „განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. **შინაგანი ნევრებისა** და **ვენერიულ ა თ**ყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 ს.ათ.

ნ-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ უმეტეს სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

ვიყვან მოწაფეებს უმეტეს კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შეოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში. ნახეა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. ბორონის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი 244 ა. ზ. თელია თ.

ბეგია მ. მ. **ქოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

მსოფლიო ომი.

დეპეშები.

(ჰეტ. დეპ. სააგ.)

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბი-საგან.

დასავლითის ასპარეზი

პეტროგრადი. 19 ივლისი. ოფიციალი დუბენკას მიდამოებში რომელიც კონასტერდისტკიდან აღმოსავლეთ 'სამხრეთით 15 ვერსის მანძილზეა დაშორებული) ჩვენმა ჯარმა გადალახა ჭაობიანი მდინარე ტეროპეცი ვინაიდან ხიდი მოწინააღმდეგემ დაანგრია, და ჩვენ მარცხენა ნაპირზე გავმაგრდით. აქ დავატყვევეთ 1000 მეტი ავსტრიელი გერმანელი.

მტრის არტილერიამ ძლიერი ცეცხლი გაუჩინა აპარატს, ცეცხლი აპარატს მოედო და ჩვენი ბრძოლის ხაზზე დაეცა.

ბარანოვიჩიდან ჩრდილო და სამხრეთ-აღმოსავლეთით მკაცრი სროლაა სად ზამირიე და იზიასლავზე მტრის ჰაეროპლანები ყუმბარებს ყრიდნენ მდ. სტოხოლთან ჩვენ მტკიცედ ვიბრძვით და წინ მივიწევთ. დავატყვევეთ მთელი პოლკი კომანდერი და მთელი პოლკის შტაბი. ტყვეთ წამოვიყვანეთ კიდევ 21 აფიცერი 91 ჯარისკაცი 4 ტყვიის მფრქვეველი. კონველსკთან მკაცრი ბრძოლა ისევ სწარმოებს.

ბროდთან ჩვენ მტერს უკან ვახევინებთ და მდინ. გრალერკსა და სერეტს მივაღწიეთ.

კავკასიის ასპარეზი. ერძინჯანის მიდამოში კიდევ წინ წავიწევთ. ოსმალთა შემოტევა ლიზიოგიავეტთან შეჩერებულ იქმნა.

პეტროგრადი. 18 ივლისი სტოხოლთან ისევ წინ მივდივართ. მტერი ჯოჯოხეთური საარტილერიო ცეცხლით გვეგებება. დღევანდელ შეტაკებაში დაიჭრა პოლკის მამაცი უფროსი პოლკოვ-კანცეროვი გიორგის ჯვრით დაჯილდოებული. ბროდთან მტერი მძიმე არტილერიას უშენს ქალ. ბროდსა და მდინ. ბოლდუროვკის გადასავალ ადგილებს. თითქმის მთელ ასპარეზზე გააფთრებული ბრძოლაა

მტერი სცდილობს როგორმე შეინარჩუნოს ბრძოლის ხაზი, ჩვენს ჯარს იგერიებს და თავს უყრის ახალ ძალებს.

ლიგონის სამხრეთით შანონთან ფრანგებმა უკუ-აქციეს გერმანელთა მზვერავი რაზმი. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელთა იერიში სამხრეთით ფლერისთან შეაჩერეს.

კავკასიის ასპარეზი.

მოსულის მიმართულებით ოსმალთა უკან დახევა გრძელდება. წინ მიუდივართ. ცნობა თითქოს მფრინავი შტ. კაპიტანი ბერიძე და პორ. რტიჩევი გმირულად დაიღუპნენო სიმართლეს მოკლებულია.

მთელ ასპარეზზე ,ფლერის მიდამოებში ვოს ტყიდან, ვიდრე ფიუშენის ტყემდე მძიმე არტილერიის ბრძოლა სწარმოებს. დანარჩენ ადგილას მთელი ღამე სიწყნარე იყო. ივლისის 18 ს ფრანგების აეროპლანებს 11 ჯერ მოუხდათ მტერთან შეტაკება. სომმის ასპარეზზე და ძირს ჩამოაგდო 3 გერმანელთა აეროპლანი. არგონაში ადასტურებენ ცნობას, რომ გუმერმა ჩამოაგდო მე11ტე ჰაეროპლანი, ღამით ივლისის 16 ს ფრანგების აეროპლანებმა ჩამოაგდეს რკინის გზის სადგურ ნაჟიონთან 120 ცალი 40-მილიმეტრიანი ყუმბარა. დღეს დილით ფრანგები ზარბაზნებს უშენდნენ რეინის მარჯ. ნაპირით გიულჰეიმის სამხედრო დეწესებულებათ

ლონდონი. 18 ივლისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ,ცნობა საფრანგეთიდან.

დღეს საღამოთი ინგლისელებს საარტილერიო ბრძოლა მოუხდათ მტერთან სახელდობრ სომას და ანკრის შუა. მტრის სამხედრო მასალების საწყობი აფეთქდა ურგელეტის მახლობლად, მაგრამ ეს ინგლისელების საარტილერიო ცეცხლით არ არის გამოწვეული. კანადის ქვეითა—ჯარმა იერიში მიიტანა გერმანელთა სანგრევებზე ორ ადგილას იპრის სამხრეთით, აგრეთვე იერიშს აწარმოებდა ირლანდიის გვარდიის ბატალიონი ლოოსთან. გერმანელებს ორივე იერიშის დროს დიდი ზიანი მოუვიდათ, გოგენლოლერნის რედუტან გერმანელები სცთილობდნენ ორჯელ იეოიშის მიტანას, მაგრამ პირველად თავიანთ სიმაგრეებს ვერ გასცილდნენ. მეორეჯერ თუმცა იმათ აიღეს ,ინგლისელების მოწინავე სანგრები მაგრამ მათ ისევ უკუაგდეს.

პარიზი. 18 ივლისი. საღამოს ცნობა სომმის ჩრდილოეთით, ემის ტყეში, მონაკრის ფერმის მიმართულებით გერმანელები კონტრიერიშებს განაგრძობენ. გერმანელები დაზიანდნენ. მიზანს ვერ მიაღწიეს და ფრანგებმა პოზიციები შეინარჩუნეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება ტიომონ—ფლერის საველე სიმაგრეებთან. დანარჩენ ასპარეზზე შესანიშნავი არა მომხდარა. რა მფრინავთა მოქმედება. ფრანგთა ერთმა საჰაერო რაზმმა ყუმბარები დაუშინა ტიონვილის სამხედრო ქარხანას სად. კონფლანს, ოდენლერომანს და ეტენის ჯარის ბანაკს.

ჰავრი. 18 ივლისი. ბელგეთის ოფიციალური ცნობა. დიქსმიუდეს მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ასპარიზზე სიწყნარეა.

ლონდონი. 18 ივლისი. ბრიტანიის მთავარ იბინის ცნობა საფრანგეთიდან. წარსულ ღამის განმავლობაში ინგლისელები წინა დღით დაპყრობილ პოზიციებზე მაგრდებოდნენ ბძოლის ველზე უკანასკნელ დროს დამყარებული მდგომარეობა არ შეცვლილა. ბიზანტელეპტის ჩრდილოეთით მდებარე ვაკე გორაკზე რამდენიმე შეტაკება მოხდა და ინგლისელებმა წინ წაიწიეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

——

სტოკგოლმიდან იუწყებიან, გერმანელებმა გადასწყვიტეს ოსმალებს ერთი კორპუსი ჯარი მიაშველონო.

—

გაზეთი „მატენი“ სწერს, გერმანელების ცხოველთა და ფრინველთა გამწვრთნელ საზოგადოებას 70 არწივი გაურწვთნია. არწივებს კისერში რეზინები და ამფეთქებელი აქვთ გაკეთებული. არწივები ცეპელინებთან საბრძოლველად არიან დაწვრთნილები. ერთმა არწივმა თურმე უკვე დააზიანა საფრანგეთის ცეპელინი. არწივი ცეპელინთან შებრძოლების შემდეგ კვდება

——

ირლანდიის ნაციონალისტებმა უარი განაცხადეს კანონ—პროეკტის შეცვლა შესწორებაზე. ყველაზე მწვავე საკითხი გამოიწვია ირლანდიაში თვითმართველობის დაარსების შესახებ მუხლმა. ირლანდიის ნაციონალისტებს მოუწოდებს ასკვიტი, რათა როგორმე მოახდინონ შეთანხმება ირლანდიისა და აგრეთვე ინგლისის საკეთილდღეოდ.

——

გერმანიაში 10 სხვა და სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოს დიპლომატი მოგზაურობს, რათა შემდეგ მოხსენება წარუდგინონ თავიანთ მთავრობას გერმანეთის ხვნა—თესვის და მოსავალის შესახებ

——

გერმანელებს ჩრდილოეთის ზღვაში ინგლისელთა გემი „ბრიუსელი“ შეუპყრიათ, კაპიტანს აღმოაჩნდა ოქროს საათი, რომელიც გერმანელთა წყალქვეშას დაღუპვისთვის მიეღო ჯილდოთ. გერმანელებმა კაპიტანი მეკობრად ჩასთვალეს და დახვრიტეს.

——

ათინიდან იუწყებიან შეუძლებელი და დაუჯერებელია, რომ რუმინიამ ნეიტრალიტეტი დაარღვიესო.

——

გერმანული გაზეთები მუქარას უთვლიან რუმინეთს, თუ რუმინია გერმანეთის საწინააღმდეგოთ ომში ჩაერევა მეფე ფერდინანდი ჰეჰენცოლერნთა საგვარეულოდან გამორიცხული და ტახტიდან გადაყენებული იქნებაო.

——

„რუსკ. ვედ.“ ის ცნობით ბულგარელები რუმინიის საზღვრებს გამალებით ამაგრებენ მდ. დუნაიზე რუშჩუკთან ავსტრიელთა ნაღმის ჩამწყობი ფლოტილია გამოჩენილა. ბულგარელებს საზღვრების გამაგრებაში გერმანელები უწევენ ხელმძღვანელობას.

——

იტალია და სერბეთი ყველა საკითხებში შეთანხმებულან.

——

უნგრეთის ცნობილ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთაგან შემდგარი დელეგაცია მოსულა ბერლინში და უთხოვიათ, რომ ავსტრია-უნგრეთს დახმარება აღმოუჩინონ და ხიფათს გადაარჩინონ.

——

ინგლისში შემდგარა ქალთა საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს რაც შეიძლება იაფ-ფასიანი სამოსელი ჩაიცვან და ყოველ ნაირად ერიდონ ზედმეტ ხარჯებს.

——

ხმები დადის, ბელგიელმა სწავლულმა ვან-ბეევდენმა ისეთი აპარატი გამოიგონა, რომლის შემწეობით შესაძლებელია გემზე გაიგონ თუ სადმე ათი კილომეტრის მანძილზე, რომელიმე ლითონის საგანი იმყოფება. ეს გამოგონება (თუ კი ზემოდ ნათქვამი სიმართლეს შეეფერება) სავსებით შეასუსტებს წყალქვეშა ნავების მოქმედებას.

——

შვეიცარიის სტატისტიკა გვაუწყებს, რომ გერმანიიდან შვეიცარიაში 30—35 ათასი კაცით წინანდელზე მეტი მიემგზავრება, რაც გერმანიაში შიმშილის გამძვინვარებას მოასწავებს.

სამხედრო მიმოხილვა.

შედარებით მოკავშირეთა საერთო შეტევის პირველი დღეებისა ეხლა ომის მსვლელობა მშვიდობიანია. არც ერთ ასპარეზზე აღარ ხდება ისეთი ძლიერი ბრძოლები, როგორც წინად იყო და მხოლოდ აღმოსავლეთის ასპარეზი კვლავინდებურად იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მოკავშირეთაგან მხოლოდ რუსეთი განაგრძობს დღეს ძალუმად შეტევის გაგრძელებას და დანარჩენ მოკავშირეებმა ასე თუ ისე შეასუსტეს თავის მოქმედება.

ამნაირად ასე თუ ისე მოკავშირეთა საერთო შეტევის პირველი ხანა დამთავრდა და უკვე შეიძლება რამდენიმე დასკვნა გამოვიტანოთ და ზოგადი მოსაზრება გამოითქვას დასკვნის მიხედვით.

გერმანელებმა, როგორც ეს წინადაც გვქონდა აღნიშნული ფრანგები ჩაბეს თავისათვის სასარგებლო ვერდენის ბრძოლაში და შესამჩნევად შეასუსტა ისინი.

ამას გარდა გარემოების მიხედვით სხვა დირექტივები, დარიგება მისცა ოსმალეთს

დასავლეთის ასპარეზზეც მიიღო ზომები: საველე სიმაგრეები უფრო „მოძრავი“ და გამძლედ აქცია.

ამ სამმა გარემოებამ თავიდანვე ცხად

ომის დღიური.

ალმოსავლეთის ასპარეზი. ბარანოვიჩის ალმოსავლეთით სროლა. სად. ზამირიესა და იაზია სლავლს გერმანელთა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს. მდ. სტიროზე რუსებმა კვლავ გაიმარჯვებს და ერთი პოლკი მთლიანად დაატყვევეს შტაბიანად. კოვლის მიმართულებით მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. ბროდის მიმართულებით რუსებმა წინ წაიწიეს მდ. გრადერკა და სერეტამდის. ლუ-ცკი და კოველის მიმართულებით გერმანელთა ყველა იერიშები მოგერიებულ იქნა. მდ. სტოხოდზე ზოგ ალაგებში გერმანელები ქარიშხალისებურ ცეცხლს ანვითარებდნენ ქალქ ბროდს ავსტრიელები მძიმე არტილერიას უშენდენ. ყოველ დღე ძლიერი ბრძოლები ხდება. ავსტრიელები ჯარებს აგროვებენ და ყოველ ღონეს ხმაროობენ, რომ რუეთა წინსვლა შეაჩერონ.

კავკასიის ასპარეზი. მოსულის მიმართულებით ოსმალები იხევენ, რუსები კვლავ სდევნიან და ამნაირად მოსულის მიმართულებით ოსმალთა შემოტევა მათი დამარცხებით დასრულდა. ერძინჯანის მიმართულებით რუსებმა კვლავ წინ წაიწიეს.

დასავლეთის ასპარეზი. მდ. სომმის ჩდილოეთით ემის ტყეში გერმანელებს გამუდმებით კონტრიერიშები მიაქვთ. გერმანელებმა ვერ წაართვეს ინგლისელებს მათი პოზიციები. მდ. სომმისა და ანკრის შუა ინგლისელებმა გერმანელთა დამხმარე პოზიციებს დაუშინეს. ჰოჰენცოლერის სიმაგრესთან გერმანელებმა ზედიზედ ორი იერიში მიიტანეს მაგრამ ვერა გააწყეს რა. შალონის მიდამოებში ლიგონთან ფრანგებმა გერმანელების მზვერავთა რაზმები სროლით გაფანტეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე ფლერის სამხრეთით ხევში ფრანგთა სიმაგრეზე გერმანელებმა იერიში მიტანეს მაგრამ მოგერიებულ იქნენ. საერთოდ მაასის მთელ მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლა.

იტალიის ასპარეზი ტრენტინოს საზღვრებზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. დანარჩენ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

ჰყო, რომ მოკავშირეები ვერ შესძლებდნენ იმდენის გაკეთებას, რამდენიც შეეფერებოდა მათი ჯარების და სამხედრო მასალის მქონე სახელმწიფოებს.

ასეთი პირობები კი გახდებიან იმის მიზეზად, რომ მოკავშირეებს მეტი ჯარის და სამხედრო მასალის დახარჯვა დასჭირდებათ და ამნაირად მათი მიზანის მიღწევა ვერ მოხდება დროზე.

მაგრამ მოკავშირეთა მთავარსარდლობაო საღი სტრატეგია და რუსეთის დაუცხრომელი მოქმედება თავდებია იმისა, რომ შეცდომები აღარ იქნება გამეორებული და თამამად შეუტევენ საერთო მოწინააღმდეგეს გერმანეთს.

შვერედი.

ვერიდოთ სირცხვილს!

როცა ცხოვრება სწორ კალაპოტში სდგას და საზოგადო საქმე წესიერად არის მოწყობილი, ვაჭარი და მუშტარი ერთი ოჯახის წევრები არიან, თავ თავის ნაწილზე მუშაობენ, მათ სადავო და სამტერო არაფერი აქვსთ, მაგრამ როდესაც ცხოვრება ჩვეულებრივ ჩარჩოებს გადასცდება და ძლიერი ქარტეხილი დატრიალდება, მაშინ ეს ოჯახიც აირევა, წევრები ერთმანეთს ველარ ცნობენ და ქვენა გრძნობები თავს ამოყოფენ.

ჩვენდა სამწუხაროთ ახლა ასეთ ხანას განვიცდით

უცნაურმა ომმა სხვა უბედურებასთან ერთად აუტანელი სიძვირე და უსაზღვრო სპეკულიაცია შექმნა, ამ შემთხვევამ ოჯახი გაჰყო: მუშტარი ვაჭარს გადაამტერა.

ყველას არ ესმის დღევანდელი გარემოება; ის რაც ათასი მიზეზის ბრალია, მარტო ვაჭრებს ბრალდება და ისიც იმ ვაჭრებს, რომელნიც მეორე მესამე ხელიდან საქონელს ღებულობენ და მოახლოვე მუშტარს აწვდიან. თუ დაკვირდებით, გულდასმით და საღი გონებით გავარჩევთ საქმეს და სამართლიანად გავითვალისწინებთ ამ საერთო სიმწარეში ვინ მართალია და ვინ მტყუანი, დავინახავთ, რომ ვაჭრებზე უფრო ბრალი სხვას ერგება, მაგრამ თუ გარეგანი უცები შეხედვიო ვიხელმძღვანელეთ, რა თქმა უნდა, ვინც ახლოს არი, დამნაშავეთაც ის მოგვეჩვენება.

სიძვირე და სპეკულიაცია დიდი ბოროტებაა, მასთან ბრძოლა აუცილებელი საჭირეობაა, მაგრამ ბრძოლა გონიერი, წესიერი და სამართლიანი ყოველი შეგნებული პირი მოვალეა საერთო ბოროტებას ებრძოლოს, დაასუსტოს და ჩააქროს იგი, მაგრამ საშუალებათ უნდა იხმაროს მხოლოდ გონიერი იარაღი და წესიერი მოქმედება. ჩვენ უნდა გვამოქმედებდეს საზოგადოების სიყვარული, ადამიანის ღირსება და პიროვნების პატივისცემა ჩვენ უნდა მოვეფეროთ ადამიანის ძალას, ღონეს, ენერგიას, და ამით შექმნილ ქონებას და არა ცეცხლსა და წყალს ვაძლევდეთ მას. მესმის ბრძოლა გონიერი, გამაკეთებელი, ამაღორძინებელი და გამასპეტაკებელი და არა დამქცევი, მომსპობი და შემარცხვენელი.

დღეს რასა ვხედავთ?

ვხედავთ გამანადგურებელს და თანაც სამარცხვინო სურათს. ანადგურებენ მთელ ვაჭართა წრეს, ანიავებენ ყველას ქონებას განურჩევლათ მტყუანე და მართლისა.

ცხადია ბოროტ პირთ განუზრახავთ ისარგებლონ სხვისი გაჭირვებით, ააღელვონ ცხოვრების უკმაყოფილონი და მათი ხელით ვაჭრობა მრეწველობა შეაფერხონ. რისთვის? მისთვის რომ ერთის ბრალი მთელ წრეს თავზე მოახვიონ და ათი ოცი ბოროტმოქმედის მიზეზით ასი და ორასი უდანაშაულო და უბრალო გააუბედურონ. აღელვებული ბრბო კარგავს გონიერებას და თვითონ აღარ იცის რასაც მოქმედობს აი ნამდვილი ნიმუში უგნური სტიქიური მოქმედებისა. ეს დიდი შეცდომაა, შეცდომა უგუნურებაზე დაფუძნებული და შურისძიების გრძნობით მომართული, ამ საქმეში მეთაურობას ის მიიღებს, ვისაც არა აქვს შორს მხედველობა და თავისი თავის პატივისცემა, ვისაც არც წარსულის დაფასება შეუძლია და არც სამრცხვინო მომავალი ეთაკილება. ერთი სიტყვით ამ საქმეს აწარმოებს თავზე ხელ აღებული და წყალ წაღებული.

ჩვენ ხალხს ასეთები არა სჩვევია და თუ ზოგიერთი გამოჩდა-ეს სამწ ხარო გამონაკლისია, რა გაეწყობა მახინჯი კარგს ოჯახშიც იბადება

ამ სამარცხვინო ფერხულში თურმე ჩვენი ქალები უნდათ ჩააბან. ეს მაცთური განზრახვა. ჩვენი ქალი ბუნებით თავაზიანი არსებაა, მას თავხედობა და ლაზღანდარობა ეზიზღება. ჩვენ ქალს ეზიზღება ეს ბინძური ინსტინქტი, ეზიზღება ეს ბინძური ინსტინქტი, ეზიზღება ეს ბინძური ინსტინქტი,

შვიდი ცნობილ ჟურნალისტის ილია ბახტაძის(ხონელის) სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ გუშინ საღამოს 5 საათზე პლატონ დემიტოვის საზეინკლოს შეგირდს მანქანამ ხელი მოსჭრა.

◆ როგორც გავიგეთ გერმანიის ფროლტზე გმირულად შეაკვდა მტერს ჩვენი თანამემამულე პორუჩიკი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მკურნალი, შვილი ქუთაისში კარგათ ცნობილ პედაგოგისა

◆ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე თავადი მ. გ. ფალავა, რომელიც რამდენიმე დღით თავის სოფელში იყო წასული, ქუთაისს დაბრუნდა.

◆ ჩვენი მცხოვანი კრიტიკოსი და ჟურნალისტი, რედაქტორი ჟურნალ „ცხოვრებისა“ რომანოზ ფანცხავა (ხომლელი) ამ ჟამად ავად არის.

◆ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის გამგეობამ უკვე მიიღო სამოსწავლო ოლქიდან მერვე კლასის მოწაფეების ატესტატები.

◆ 19 ივლისს, ღამის 10 საათზე ცეცხლი გაუჩნდა გლუშაკოვის აფთიაქს (პოლიციმეისტრის ბინის წინ) დროზე გაუგეს და ცეცხლი ჩაქრობილ იქნა.

ამავე დღეს ნაშუალამევის ორ საათზე ცეცხლი გაუჩნდა ელექტრონისაგან მიხაილოვის შესახვევში ძმ. იაკობიშვილების სავაჭრო სახლს. ცეცხლის მქრობელი რაზმის შემწეობით ცეცხლი ჩაქრობილ იქნა ორი საათის განმავლობაში. ზარალი 1500 მანეთამდეა.

თბილისი.

— ბრძოლის ველზე გმირულ თავის გამოჩენისათვის უმაღლესად ებოძათ წმ. ვლადიმირის ორდენი 2 ხარისხისა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსს მათ უდიდებულესობის ამალის გენერალ მაიორ ზაქარია მდივანს და წმ. ვლადიმერის ორდენი 3 ხარისხისა დივიზიონის უფროსს პოლკოვნიკ თ-დ ქაიხოსრო სოლოღაშვილს

— თანახმად გენ. ინფანტერ. იანუშკევიჩის განკარგულებისა, ღვინის გადატანა ბოჩკით არა უმეტეს 5 ვედრისა და ბოთლით არა უმეტეს 60 ცალისა შეიძლება ყველგან, მხოლოდ ადგილობრივ სამაზრო საპოლიციო მოწმობით, სადაც ნიშანდობლივ უნდა იყოს აღნიშნული როგორც ღვინის რაოდენობა ისე ის ალაგი სადაც ღვინო გადააქვთ,

— სასოფლო სამეურნეო აღწერილობა. მთავარ რწმუნებულმა სასოფლო სამეურნეო აღწერილობისამ კავკასიაში მიმართა ყველა გუბერნიებისა და ოლქების უფროსს წინადადებით, რომ 1) მთელი აღწერილობის დამთავრების შემდეგ მათ მოახდინონ კვლავ მოკლე განმეორებითი აღწერა დაახლოვებით 3 % სოფლებიდან, 2) ეს განმეორებით აღწერა გამოცდილ სტატისტიკოსების ხელმძღვანელობით უნდა მოხდეს სოფლის მთლიან ყრილობებზე.— აღწერილობა თბ. გუბერნიის ბევრ ალაგას უკვე მთავრდება. მკათათვის ბოლო რიცხვებში კი აღწერილობა დამთავრდება მთელ კავკასიაში. ამჟამად აღწერილობა დამთავრდა უკვე ბორჩალოს მაზრაში და გორის მაზრის მთიან ოსეთში.

— სტუდენტ გრიგ. ხერხეულიძის დაკრძალვა. გუშინწინ, წმ. ნინოს სასაფლაოზე მიწას მიაბარეს ტრაღიკულად დაღუპულ სტუდენტ გრიგოლ ზურაბის ძე ხერხეულიძის გვამი. ხალხი ბევრი დაესწრო.

— მხატვართა მუშაობა. ქართველ ხელოვანთა საზოგადოების წევრნი ბ-ნნი თოიძე, შევარდნაძე, ჭიაურელი და გულიაშვილი—განაგრძობენ მუშაობას სოფ. ნაბახტევში (ზემო ქართლი.) მათ უკვე გადაიღეს ძველი ეკლესიიდან ათი ფრესკი და დარჩა გადასაღებად ერთი კედლის მხატვრობა.

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ*)

ფედერალისტთა პუბლიცისტები იმით კი არ უმაყოფილდებიან, რომ მათ მოპირდაპირე ქართველ მარქსისტების წინააღმდეგ სასტიკი იერიშები მიაქვთ, ისინი უფრო შორს მიდიან და ცდილობენ ერთის მხრივ ინტერნაციონალურ სოციალდემოკრატიის მამათ მთავრის, კარლ მარქსის ზნეობრივ ფიზიანომიის დასამარებას და მეორეს მხრივ კი რუსეთის სოციალდემოკრატიის ბელადების ჩაქელვას, მათი შოვინისტობის დამტკიცებას.

ამას წინად ერთი მათი (ფედერალისტების) გაზეთი თამამად გაიძახოდა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ცილის წამება მარქსისგან ისწავლესო: მარქსი ბაკუნინს ჯაშუშობას აბრალებდა იმ დროს, როდესაც ბაკუნინი სიკვდილით დასჯის მოლოდინში ხელფეხ შებოჭვილი ავსტრო უნგრეთის ციხეში იჯდაო“.

რუსეთის სოციალ დემოკრატების მეთაურებს, პლეხანოვს, ლენინს, პეტროსოვს და სხვებს იმაში სდებენ ბრალს, რომ ქართველ სოციალდემოკრატიის უმრავლესობა მათი ზეგავლენით უარყოფენ საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიასო.

არც ერთს ამ ბრალდებათაგანს სიმართლესან არავითარი საერთო არ აქვს.

დავიწყოთ მარქსიდან.

ფედერალისტების პუბლიცისტებს ზეპირად გაგონილი ამბავი (თავისივე დამატებით) ისტორიულ წყაროებთან რომ შეედარებინათ ზოგიერთ ასეთ სამარცხვინო შეცდომებს თავიდან აიცდენდენ.

როცა ბაკუნინის აგენტობის შესახებ წერილი დაიბეჭდა, მაშინ ბაკუნინი ავსტრო-უნგრეთის ციხეში კი არ იჯდა, არამედ რუსეთის შლისელ ბურგის ციხეში.

მერმედ, თუმცა ის კაცი, რომელიც ბაკუნინს მის ციხეში ყოფნის დროს პროვოკატორობას აბრალებდა, მარქსი იყო გვარად, მაგრამ არა კარლ მარქსი, არამედ ფრუნსის მარქსი. უკანასკნელთან კარლ მარქსს არავითარი კავშირი არ ჰქონია, ისიც კი გვიან გაიგო, რომ ის იყო ავტორი იმ წერილის, რომელიც ინგლისურ გაზეთ „Mornig Post“-ში ბაკუნინის წინააღმდეგ 1853 წელს იყო დაბეჭდილი და რომელსაც ხელს აწერდა ვიღაც უცნობი ავტორი, „ფ. მ.“-ს ინიციალებით.

ეს „ფ. მ“. (ფრენცის მარქსი) ეკუთვნოდა იმ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელსაც მარქსი „სალახნებს“ უწოდებდა, და რომელსაც სახელად „უორკვატისტების ჯგუფი“ ერქვა. უორკვარტი მისი ხელმძღვანელი იყო. ეს ჯგუფი სასტიკ აგიტაციას ეწოდა რუსეთის წინააღმდეგ და იცავდა ოსმალეთს.

„Mornig Post“-ში მოთავსებულ წერილში კარლ მარქს რომ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ეს იქიდან სჩანს, რომ გარდა პროვოკატორობისა, ბაკუნინს რევოლიუციონერობასაც აბრალებენ. ამის შესახებ თვით მარქსი სწერდა, რომ „უორკვარტისტების“ წერილი ბაკუნინის წინააღმდეგ ლოღიკურია მხოლოდ იმ მხრივ, რომ ყოველი რევოლიუცია, ევროპაში მომხდარი, მათის აზრით მხოლოდ რუსეთის მთავრობისთვისაა სასარგებლო და მათი აგენტების მიერ მოწყობილია.

1861 წელს ციმბირიდან გამოქცეული ბაკუნინი ლონდონში ჩამოვიდა და გერცენისას ჩამოხტა. გერცენმა დაარწმუნა ბაკუნინი, რომ მის წინააღმდეგ მოთავსებულ წერილის ავტორი მარქსიაო და ამის გამო ბაკუნინმა თავის მეგობარი მარქსი არც კი ინახულა.

მარქსი მიხვდა, თუ რა მიზეზით არ ინახულა ის ბაკუნინმა, თვითონ ესტუმრა მას და არწმუნებდა რომ არც პირდაპირ და არც არა პირდაპირ არ ღებულობდა მონაწილეობას ის იმ კომპანიაში, რომელსაც მის წინააღმდეგ ეწეოდენ*).

შემდეგ ბაკუნინი და მარქსი კვლავ დამეგობრდენ, ბაკუნინი იტალიაში გაეგზავნა და იქიდან სწერდა მარქსს, ეხლა მე მხოლოდ სოციალისტურ მოძრაობას უნდა შევსწირო თავი, იმ მოძრაობას, რომლისთვის შენ ყველაზე უფრო ძვირფასს ადამიანს წარმოადგენ. მე ეხლა იმას ვაკეთებ, რაც შენ ოცი წლით უფრო ადრე დაიწყე. (მარქსმა ბაკუნინი და მისი ორგანიზაცია ინტერნაციონალში შეიყვანა, რომელშიაც ბაკუნინმა საბედისწერო როლი ითამაშა**)

თუ რა საბუთით ფიქრობდა გერცენი და მის ზედ-გავლენით ბაკუნინი, რომ „Mornig Post“-ში მოთავსებული წერილ კარლ მარქს ეკუთვნოდა, ეს ადვილი ასახსნელია: ჯერ ინიციალებს შეეძლო ისინი შეცდომაში შეეყვანა. გარდა ამისა 1848 წელს, მარქსის ორგანოში, რომელიც ქალაქ კელნში გამოდიოდა, დაიბეჭდა წერილი, სადაც ნათქვამი იყო, თითქო ჟორჟ ზანდისთვის ლედრიურე ლენს ეთქვას, რომ ბაკუნინი რუსეთის მთავრობის აგენტიაო. ამ წერილის შესახებ მარქსმა დასწერა, რომ ის მისდა გაუგებრად დაიბეჭდაო*).

ბაკუნინმა სასტიკი პროტესტი გამოაცხადა ერთ გერმანულ გაზეთში მის წინააღმდეგ მარქსის გაზეთში გამოთქმულ იქვის გამო. მარქსმა ეს პროტესტი მაშინათვე გადმობეჭდა. თვით მარქსის ორგანოში ჟორჟ ზანდმაც გაგზავნა საპროტესტო წერილი, რომელიც მარქსმა შემდეგის კომენტარიებით დაბეჭდა: ჩვენი მოვალეობაა თვალყური ვადევნოთ პოლიტიკურ მოღვაწეების მოქმედებას, ჩვენ ეს პირუთვნელათ შევასრულეთ და ამით ბაკუნინს შეძლება მივეცით გაექარწყლებია ის ჭორები, რომელიც ბაკუნინის შესახებ იყო გავრცელებული.

მარქსი გულისხმობდა შემდეგ ფაქტებს: ბაკუნინის წრეში ტრიალებდა რუსეთის ქვეშევრდომი ტოლსტოი, რომელსაც სოციალისტად მოქონდა თავი და რომელიც პროვოკატორი აღმოჩნდა ამ ფაქტის გამომჟღავნების გამო ბაკუნინი ხმას არ იღებდა და ამ გარემოების გამო ბევრს დაებადა ეჭვი ბაკუნინის შესახებ, მით უმეტეს, რომ იმ დროს ახალ რუსეთიდან გამოსულ დემოკრატებს ევროპაში იქვის თვალით უყურებდენ. მასთან ერთად, რუსეთის ელჩი პარიზში, გრაფი კისილიოვი, რომლის მეცადინეობით ბაკუნინი საფრანგეთიდან გააძევეს, ხმას ავრცელებდა, რომ ბაკუნინი ჩვენი აგენტია, მაგრამ ის ჩვენ დავითხოვეთ. ეინიდან მეტის მეტად ჩქარა — ალბად აღმოჩნდაო. ყველა ამაების შემდეგ რა გასაკვირველია, რომ მარქსისტების ჯგუფში ბაკუნინის შესახებ სერიოზული ეჭვი დაიბადა!

სარევოლიუციო წრეში, სადაც ციხეზირად მოულოდნელ მხარიდან ტყდება, ადვილად იბადება ამნაირი ეჭვი, აქ ამ შემთხვევაში, მხოლოდ დასაგმობათ ითვლება ყველა ის, ვინც ზომებს არ მიიღებს ჭეშმარიტების გამოსარკვევად და არ გაასწორებს თავის შეცდომას, თუ მისი ეჭვი ფაქტებმა არ გაამართლეს.

ბაკუნინის ისტორიაში მარქსი სწორედ ღირსეულად მოიქცა, და ამით აიხსნება ის, რომ ამ ინციდენტის შემდეგ მარქსი და ბაკუნინი მალე შერიგდენ და ნიშნად მეგობრობის აღდგენისა, შერიგების დროს ერთმანეთს გადახვეიენ.

ტყვილად ცდილობენ ფედერალისტები მარქსის ზნეობრივ ფიზიონომიის ჩირქის მოცხებას, იმ მარქსის, რომელიც ყველა ქვეყნის სოციალისტებმა და მათი ისეთებმაც, რომელნიც მარქსის სისტემას არ იზიარებენ, თავის სათაყვანებელ საგნად გიხადეს და რომლის შესახებ ნარდონიკების წარმომადგენელმა ლავროვმა 1889 წლის კონგრესზე წაკითხული მოხსენება ასე დაამთავრა: დაე სამუდამოდ დარჩეს რუსეთის სოციალისტების ყველა მოდგმაში დიდებული სახელი დიდებული მარქსისაო.

ვლადიმერ ემუხვარი.

*) ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ჩვენ მარქსის სისტემას არ ვიზიარებთ, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ბ-ნ ემუხვარს საშუალება მივცეთ ამ სამართლიანი ფაქტიური შენიშვნის გაკეთებისა.— **რედ**

**) ჩვენ განზრახვა გვაქვს ცალკე წერილი ვუძღვნათ ბაკუნინის მუშაობას „ინტერნაციონალში“.

*) იხ. Драгомановъ Письма Бакунина къ Герцену.

*) იხ. Туганъ-Барановскій. Очерки по полит. экономіи. Карлъ Марксъ.

ᲝᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ.

ორი წელიწადი შესრულდა, რაც ᲮᲐᲢᲐᲠᲐ საქართველო, მსოფლიო ომისაგან, გამოწვეულ ტეხლის ადშია გახვეული.

ჩვენი ტურფა ქვეყანა უჩვეულო არ არის ომის ქარტეხლს. თვისი ხანგრძლივი არსებობის ჟამს ბევრი მწარე დღეები განუცდია მას გარედან შემოსეული მტრებისაგან, მაგრამ ამ მწარე დღეებს ომის მიზანი უქარვებდა ჩვენ ძველებს. მაშინდელმა ქართველმა მეომარმა სათლად იცოდა თუ რისთვის და ვის თვის ომობდა იგი. ამასთანავე მან ისიც იცოდა, რომ უკეთუ ის ამა თუ იმ ომიდან გამარჯვებული გამოვიდოდა, იმ შემთხვევაში ვერავინ მას გამარჯვების გვირგვინს ვერც შეეტიტლებოდა და ვერც წაართმევდა, ასეთი რწმენა ქართველ მეომართ დიმ კაცად ხთიდა და ერთი ათს უმკლავდებოდა.

ამნაირივე რწმენით და აზრით გამსჭვალული იბრძვის ქართველი მეომარი მოწინავე ბრზე დღევანდელ მსოფლიო ომშიდაც; იგი რუსეთს საქართველოსაგან არ არჩევს და მისი

ᲡᲘᲒᲚᲘᲗᲘᲗᲐ

ლიბებულიყვნენ, მაგრამ ცივილიზიციის პროგრესითა და ზრდით სულიერი ცხოვრებაც გამდიდრდა ახალი შინაარსით და ამიტომაც მოხდა ის, რომ აწინდელ ეროვნებათა დაყოფაში სარწმუნოებამ ყველა ფაქტორებზე ნაკლები მნიშვნელობა იქონია. ენა კი უმთავრესი ფაქტორია ადამიანთა ერთი მეორისადმი დამოკიდებულებაში. ჩვენ კი ხომ მხოლოდ ქართველი ენა გვაქვს, ქართულად ვსწერთ (ახლა კი არა და 20 საუკუნის წინათაც), ქართულად ვეწევით ვაჭრობა-მრეწველობას, ქართულ ენაზე ვზრდით შვილებს და სხვა. (მაშასადამე, კი ვყოფილვართ ძალიან ბევრით განსხვავებული რუსის ებრაელებისაგან).

აი, სწორედ ამიტომ ენა ყველაზე მეტს როლს თამაშობს მაშინ, როცა გინდათ გაიგოთ, თუ კაცი რა ეროვნებას ეკუთვნის. ასეთივე შეხედულების არიან კაცობრიობის მნათობნიცა და უბრალო მომაკვდავნიც, ასევე ფიქრობენ გამოჩენილი რუდოლფ შპრინგერი, იელინეკი, ბაუერი, ფიკელეიტი და სხვანიც. მოისმინეთ კიდევ თუ გნებავთ ფრიდრიხ ლისტის აზრი, თუ რას ნიშნავს ეროვნება*): „თითო ადამიანსა და კაცობრიობის შუა სდგას ეროვნება, მისი განსაკუთრებული ენით და ლიტერატურით, მისი ისტორიით განსაკუთრებული ზნითა და ჩვეულებანით, კანონებითა და დაწესებულებებით; მას უფლება აქვს იარსებოს და მოუკიდებლად გაჰყვეს კაცობრიობის პროგრესს, მუდმივ შეურყეველი იქნეს და თავისი მიწა-წყალი, თავისი ტერიტორია შეინარჩუნოს“. აი, როგორი მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით, როცა ვამტკიცებდით, რომ ჩვენ, ისრაელები რჯულით, ქართველები ვართ ეროვნებითაო.

*) Національная система политической экономіи ст. 223.

რა ენაზე ვლაპარაკობთ ჩვენ?—ქართულზედ!.. რომელი ლიტერატურა გვაქვს?—ქართული. როგორი ზნე და ჩვეულება?—ქართული. თუ არ გჯერათ დაუკვირდით სოფლებში და აქაც, ქუთაისში, უქმე დღეებში როგორ მშვენიერ ფერხულს ჩაბამენ ხოლმე გელათის ქუჩაზე ჩვენი ისრაელები და ქალი თუ კაცი დიდი თუ პატარა, მტერი თუ მოყვარე როგორის ერთსულოვნებით დატრიალობენ და გამღერიან: „ეუეუნასა, ეუეუნასა, თვალუ ეუეუნასაო“.

იქნება თქვენ ეს არც კი იცოდეთ ბატონო რაბინო, იმიტომ, რომ წაბრძანებულხართ რუსეთს თუ ლიტვა პოლონეთის ებრაელებში, სიყმაწვილე იქ გაგიტარებიათ ყოველივე ქართულს მოსწყვეტილხართ და მთლად გადაგვარებულხართ. აი სწორედ ამიტომ გამოვილაშქრეთ თქვენს წინააღმდეგ და მავნედაც აღვიარეთ თქვენი მოღვაწეობა. სწორედ ამიტომავე არ გვიამა, როცა სასულიერო წოდების პირმა, რომლისთვისაც სარწმუნოების გარდა არაფერი არსებობს, ჩვენს საერო საქმეებში შეადგა ფეხი. ამიტომ ერთხელ კიდევ გთხოვთ, პატივცემულო რაბინო, არ დაივიწყოთ ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენ ქართველი ისრაელები არ შევადგენთ სხვა ებრაელებთან ერთს ოჯახს ეროვნულად. მართალია, რჯული, სარწმუნოება ჩვენ ყველას ერთი გვაქვს, მაგრამ ნუთუ პოლონელები, იტალიელები, ფრანგები, ქართველი ან გერმანელი კათოლიკენი ერთს ეროვნებას ეკუთვნიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ესენი კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ? ამის მტკიცება ისეთი უგნურება იქნება, დიდათ პატივცემულო სულიერო მამავ, რომ,— დამეთანხმეთ — ვერც ერთი ჭკუათა მყოფელი კაცი ვერ შეურიგდება. აი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ თქვენ ჩვენი გზის არევა გსურთ და ისიც რისთვის? ამაზედ თქვენ თავს თვითონ თქვენ გაეცით პასუხი. ჩვენ კი ყოველთვის შევებრძოლებით და ვამხილებთ იმათ, ვინც ცდილობს ჩვენს გზის არევას, შეცდომაში შეყვანას და გადაგვარებას.

თქვენ სცდილობთ, რომ აკაკის ნანას მაგივრად ვიღაც ბიალიკის სიმღერით და გვაძინონ აკვანში? მშობლიური ენის მაგივრად უცხო ენაზე გველაპარაკოს დედებმა დაბადების დღიდანვე? მაშ ჩვენ აკაკისავე ლექსით მოგმართავთ!

„ᲙᲠᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲮᲔᲚᲘ,
ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲭᲒᲛᲝᲑᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲕᲜᲐᲡᲐ“

თქვენ თუ ჭეშმარიტება გაინტერესებთ და სიმართლისთვის იბრძვით, რაღად მიჭყევით ხელი დემაგოგობას? განა მარტო ეს არ ამტკიცებს იმას, რომ ფეხებიდან ნიადაგი გეცლებათ? ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, რომ ასე მოგვიდოდათ.

თქვენ თუ მართლაც იდეისთვის იბრძვით და გსურთ „ცრუ“ გზას ამაცდინოთ რად დაგჭირდათ ჩემი პიროვნების შებღალვა? ნუ თუ განგაშითა და დემაგოგიით, ტენდენციითა და ორქოფული მოქმედებით გგონიათ მართლაც გააბიაბრუებთ ჩემს პიროვნებას? ლანძღვა გინებით ვერ შემაშინებთ! თქვენ რომ ქართველ ისრაელების აღრძენების სურვილი გქონდეთ, არც მოწინააღმდეგის პიროვნების ჩრდილის მიყენებას მოინდომებდით. პირიქით, მეცნიერული საბუთების მოყვანით ეცდებოდით სწორი გზის ჩვენებას. თქვენ-კი გაიძახით, თითქოს მე არაფერი გამეგებოდეს, ვსტყუოდე და ვატყუებდე სხვებსაც, ცუდი ამხანაგები მყავდეს, უნივერსიტეტში არასფერი მესწავლოს და სხვა ასეთი „საბუთი“ თითქოს თქვენთვის გაჩენილიყოს ანდაზა: „ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალ“ ო.

„ᲪᲣᲓᲘ“ ამხანაგები რა შუაშია იქ, საცა ქართველი ისრაელების გამოღვიძებასა და მათ მომავალ გზის ჩვენებაზე არის ლაპარაკი. ან რად დაგჭირდათ იმის თქმა, თითქოს მე „ასიმილიატორი“ ვიყო? ამავე სიტყვასაც უკანვე გიბრუნებთ, ბატონო რაბინო, რადგანაც ჩვენ უკვე ქართველები ვართ ეროვნებითი და თქვენ კი ჩვენს გადაგვარებას ლამობთ. თუ კი თქვენთვის საქართველოს ისტორია თქვენი დაბადების დღიდან იწყება, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი ისტორია უნდა დავივიწყოთ. 31 საუკუნეა მას შემდეგ, რაც საქართველოში ქართველი ხალხი მოვიდა ჩვენ ისრაელები კი საქართველოში 25-27 საუკუნეა რაც ვცხოვრობთ (ასე ამბობს ისტორია) წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ მართლაც მოსულები ვართ საიდგანღაც, მაგრამ ამ 25-27 საუკუნის განმავლობაში ნუ თუ ვერ გავქართველდებოდით ეროვნულად? რად არ გააქარწყლებთ ისტორიულ ფაქტებს და არ დაგვიმტკიცებთ, რომ არა ვართ ქართველები ეროვნულად? ვიმეორებთ და კიდევ ვიმეორებთ სარწმუნოება სხვაა ეროვნება კიდევ სხვა. შეიძლება თქვენ პირადათ არ გსურდეთ ქართველობა არც შეგეხვეწოთ, თუ გაიქცევით, მაგრამ ჩვენი სახელით რაღად ახდენთ ქართველ საზოგადოება? განა მხოლოდ ჩვენი მოძმე ქართველები იმიტომ არიან ქართველები, რომ ქრისტეს რჯულს აღიარებენ, თუ ქართველი აღნიშნავს მხოლოდ ეროვნებას? ან რა შუაშია აქ სარწმუნოება? მაშასადამე ჩვენ ისრაელ-ქართველებს რათ გვნათლავთ არა ქართველებად? ნუ თუ იმიტომ, რომ მოსეს-თორა გვწამს?

თქვენ ამბობთ: „მთელი თავისის აღშფოთებით ის (ე. ი. მე) ამტკიცებს რომ 1) ბაზოვი წმინდა ებრაელია და ამიტომ სიონიზმის მომხრეც 2) თითონ ავტორი კი წმინდა ქართველია და მასში არა ურევია რა ებრაელობისა ე. ი. ნამდვილი ასიმილიატორია“.

1) დარწმუნდით ბატონო რაბინო, რომ არც იმით აღშფოთებულვარ, თუ რად არა ხართ ქართველი ეროვნებით (თუმცა კი ამით ჰღალატობთ თქვენს წარსულს სამშობლოს, ისტორიას, დედა-ენას, მომავალსაც და სხ.), და არც ვცდილვარ დამემტკიცებია, თქვენთვის, რომ ებრაელი ხართ ეროვნებით. 2) ნუ თუ იმით ამტკიცებთ ჩემს „ასიმილიატორობას“ რომ მე წმინდა ქართველი ვარ ეროვნებით? ამას ხომ აზრების დამახინჯება ეწოდება? ვის ატყუებთ, განა რა ვსთქვი ისეთი უცნაური, რომ მე ჩემის რჯულისათვის მეღალატებიოს, რად მაბეზღებთ ჩემ ძმებთან, რომელთაც ეროვნება და სარწმუნოება ჯერ ერთმანეთში ვერ გაურჩევიათ ხმა მაღლა ვიძახი: მე ისრაელი ვარ რჯულით, ხოლო ქართველი ეროვნებით. რა არის აქ საკიჟინებელი, ან ვის დააჯერებთ რომ მე რჯულს გავურბივარ?

სირცხვილია, ბატონო რაბინო, ჩემი აზრების ყალბად გადაცემა. ამ სიყალბით ალბად თქვენ გინდათ დააშინოთ ჩვენი გულუბრყვილი ხალხი და ამით გამარჯვებული გამოხვიდეთ.

მე რომ ჩემი რჯული მწამს და არც გაურბივარ მას ეს ფაქტია და ისრიელ მკითხველს ერთი წუთითაც ეჭვიარუნდა შეეპაროს თუმცა ბაზოვი მოხერხებულად აგებს მახეს. კვლავ ვიმეორებ (ᲥᲕᲡᲗᲮᲝᲕ ბ-ნ ბაზოვსაც აწი მაინც გაიგოს ეს მარტივი სიტყვები) რომ მე მიყვარს, მწამს ჩვენი სარწმუნოება და პირველი აუხვევ ზიზღით გვერდს იმ ისრაელ-ქართველს, რომელიც თავის სარწმუნოებას უღალატებს, მაგრამ ამასთანავე არც იმ ისრაელ ქართველს ვაკოცებ შუბლზე, რომელიც საკუთარ ქართულ ეროვნებას დაჰგმობს.

ი. ხ—შვილი

(დასასრული იქნება.)

კეთილდღეობისთვის სიცოცხლეს სწირავს. მიუხედავად ქართველი მეომრის ასეთი თავგანწირვისა ჩვენი ქვეყნის მტრები ჩვენ მეომრებს ზურგს უკან საფრთხეს უმზადებენ, საქართველოს სახელს უტეხენ და მოდალატეთა დვთარში ათავსებენ მას. ამ საწყლებმა ის კი არ იციან, რომ თავისი ასეთი ქცევით რუსეთის მოდალატენი თვითონ არიან. სწორეთ რუსეთის მოდალატეა ის, ვინც მის ერთგულ მეომრებს, ნატვლად გამხნევებისა, სხვადასხვა ცილის წამებით, გულს უტეხს. ქართველი მეომრების, ამ ორი წლის ომიანობაში დანთხეული სისხლი, ჩვენ მტრებს ჩვენზე ცილის წამების ნებას არ აძლევს და, უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლოსაც იგინი თავიანთ შეცდომა ცილის წამებას საქვეყნოდ ადიარებენ, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს საერთო კამარჯვებას შემოსეულ მტერზე.

მ. ბუაჩიძე.

სკოლების საოჯახო ხარჯი.

სახალხო სკოლების საოჯახო ხარჯების, მაგალითად: გათბობის თას, განათებისას, მოსამსახურისას და სხვა წვრილმან მოთხოვნილებების სკოლების დამარსებელი საზოგადოებები იხდიან.

ამ ხარჯების როდენობას სკოლის დარსების დღესვე ითვალისწინებს საზოგადოება და თავის განაჩენის ძალით ეკვრის სათანადო მთავრობას, რომ წელიწადში ამოდენი და ამოდენი იხადოს.

ამ საარაკო სიძვირემ ყველა დარგის მოხელე აიძულა თავის შრომისათვის ზედ მეტი სასყიდელი მიეღო. მოხელეებმა ასეთი თავისი მოთხოვნა მთავრობას წარუდგინეს და შველა დახმარებას მისგან თხოულობენ. რასაკვირველია სახალხო სკოლების მასწავლებლებმაც ითხოვეს თავის მდგომარეობის გაუმჯობესება. მთავრობამ, ბევრად იყო თუ ტოტად, მათი მდგომარეობა გაუმჯობესა თვეში თითო თუმნის მომატებით. ესლა ზოგიერთი სახალხო სკოლის მასწავლებლები ამას ადარ ჯერდებიან და ხალხისაგანაც თხოულობენ საოჯახო ხარჯების მომატებას, არამც თუ თხოულობენ, რასაკვირველია, პოლიციის საშუალებით, არამედ კიდევაც ემუქრებიან ხალხს თუ საოჯახო ხარჯებს არ მოგვიმატებთ სკოლას მოლათ მიგიხურავთო ან და სხვა სოფელში გადავატანიებთ ინსპექტორსო.

ჩვენი სოფლის ხალხის მდგომარეობა გადმოიელებმა შეიტყვეს და, ეს ვაუბატონები, ისევ ჩვენი მიწის შვილები არიან და ნუ თუ მათ ვერ შეიგნეს რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ხალხი?! ეოველგვარ სახელმწიფო გადასახადს ორკეცად იხდის დღეს გლეხი და მერე მაშინ, როდესაც ჯან სადი მუშა ხელი ცხრა მთას იქით ჭეავს ბრძოლის ველზე გადაკარგული და, საკადრისი და ადამიანობაა, რომ მასწავლებელმაც ასეთ გლეხს ეხლა მოუჭიროს მუხრუჭი? ასეთ საქმეებს განსაკუთრებით ერთ კლასიანი სკოლების მასწავლებლები ჩადიან, რომლებიც მამხილებელ ამხანაგ მასწავლებლებს იქვე სკოლაში მოკლებული არიან. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლად დაარსებული მასწავლებელთა კავშირი ასეთი თავისი წევრების გასწორებას ეცდება და შეაგნებინებს მათ, რომ უხეში ძალის მოხებით ვალდებულების მოთხოვნაც კი არ შეფერის მასწავლებელს არამც თუ არა საკალდებულოსი.

მ. ფარცხანელი.

თეოფილე ხუსკივაძე.

35 წლის მოღვაწეობის გამო.

ჩვენი პრესსა და საზოგადოება რაც დრო გადის მეტ შეგნებას იჩენს საზოგადო მოღვაწეთა დაფახება-პატივიცემაში; მაგრამ თუ მკითხველიც დამეთანხმება, ამ შეგნებას თან სდევს ერთნაირი უკიდურესობა: თუ ერთ მოღვაწეს ღირსეულათა და ზედმეტადაც ვაჯილდოებთ გულწრფელი თანაგრძნობა პატივისცემით სამაგიეროთ მეორეს ან ნაკლებად, ან სულ არ ვახსენებთ ხოლმე.

რასაკვირველია, ყველა მოღვაწეს ერთნაირი სამსახური არ მიუძღვის საზოგადოებისადმი და არც ამ უკანასკნელის პატივისცემა მოღვაწეთა შესახებ იქმნება თანასწორი, მაგრამ მე ვგულისხმობ სამწერლო ასპარეზზე თვალსაჩინო მოღვაწეთა რომელთაც დიდი ამაგი დასდვეს ჩვენ მწერლობას ვაი თუ ჩვენებურ მოღვაწეთ დაფასების დროს ჯერ კიდევ მნიშვნელობა ჰქონდეს შთამომავლობას, მდგომარეობას და ამა თუ იმ სასწავლებლის დიპლომს! ნათქვამის დასასაბუთებლათ დავასახელებ გარდაცვალებულ მწერალს დ. მაჩხანელს, რომელმაც ხანმოკლე სიცოცხლეში ძვირფასი განძი შემატა ქართულ მწერლობას. მისი „მოგონება“ და ნამეტურ „ძმური სიტყვა“ ყოველი ქართველი ინტელიგენტის სამწიგნობროს უნდა ამშვენებდეს. ამ ადამიანის მოღვაწეობა ჩვენ საზოგადოებას არც სიცოცხლეში დაუფასებია და არც სიკვდილის შემდეგ.

როგორც მახსოვს, ერთი ქართული გაზეთი მხოლოდ ორიოდე სიტყვით გვამცნებდა იმის გარდაცვალებას სიცოცხლეში, რომელიც ღმერთმა დიდხანს განაგრძოს, დღემდის აღუნიშნავი იყო თეოფილე ხუსკივაძის მოღვაწეობაც. კაცს 35 წელიწადი უშრომია, მწერლობის ყველა დარგში (პედაგოგიურს, ბელეტრისტულ ისტორია-არქეოლოგიურს პუბლიცისტურ, კრიტიკულსა და სხ.) თვალსაჩინო წვლილი შეუტანია და ამის მოღვაწეობაზე კი დღემდის კრინტი არ დაძრულა, თუ არ ვიანგარიშებთ ორიოდე სარეცენზიო წერილს, სადაც მის საყმაწვილო მოთხრობებში „პატარა დიაკონი“ საუკეთესო ნაწარმოებათ იყო მოხსენებული თუ კი მოწაფეობის დროს უბრალო წერილის დასტამბვამ თეოფილე წაქეზა, წერა შეაყვარა და ქართულ მწერლობის ერთ დამამშვენებელად გახადა, ნუ თუ მისი ნაწერების ღირსეულათ დაფასება-გამოცემა და საზოგადოების მხრით მადლობის გამოცხადება იმაზედ გავლენას არ იქონიებდა? დიაღ, უსათუოდ იქონიებდა და ჩვენც მისდამი ზნეობრივ-მოქალაქობრივი ვალი მოხდილი გვექნებოდა, თუმცა თეოფილეს უამათოდაც თავისი არ მოუშლია და საქმეზე გული არ აუცრუებია.

მე თქვენ მოგახსენებთ მიუდგომელ კრიტიკოსს კარგი რამეს თქმა არ შეეძლო მის ნაწერებზე თუ!

თეოფილეს საუცხოოდ გაუთვალისწინებია სულისკვეთება თავის ნაწერებში მოყვანილ პირმეტყველ და პირუტყვ გმირებისა რომლებსაც მხატვრული ენით ალაპარაკებს. აღსანიშნავია თეოფილეს ნაწერების, თავისებური კილო და ვისაც მისი ნაწერები უკითხავს უსათუოდ შენიშნავდა ამას.

პირუთვნელი კრიტიკა თეოფილეს ნაშრომს მომავალში სათანადო ადგილს დაუთმობს დღეს კი დიდი მადლობის ღირსია ის, ვისაც დაებადა აზრი მისი 35 წლის მოღვაწეობა აღენიშნა. მადლობის ღირსია „სამშობლოს“ რედაქცია, რომელიც, გარდა იუბილიარის შესახებ ბიოგრაფიული ცნობისა და მოღვაწეობის აღნიშვნისა თავის ფურცლებზე, საზოგადოებას ნობათად მიართვა საიუბილეოდ შედგენილი თვისი სურათებიანი დამატება.

ბევრნაირად საგულისხმოა თვით კერძო ცხოვრებაც თეოფილე ხუსკივაძისა დღიდან ცხოვრებაში ფეხის შედგმისა ის დღემდის სახელმწიფო სამსახურის კაცი არის და მას სამსახურის ბევრნაირი საფეხური გაუვლია; მაგრამ როგორც ადამიანი, ის ყოველთვის ერთი და იგივე ყოფილა: დიდკაცთან დიდი კაცი, პატარასთან პატარა. დიდი და პატარა, ნასწავლი და უსავლი, მდიდარი და ღარიბი მისდამი ყველა რაღაც უნებლიეთ სიყვარულსა და პატივისცემას გრძნობდა, მასთან დაახლოვებას ცდილობდა. ზესტაფონის ჩინოვნიკობა და ინტელიგენცია, რომელთაგან ბევრი უმაღლეს სწავლა მიღებული იყო, ჯერ კიდევ ახალგაზდა მომავალ სოფლის სკოლის მასწავლებელ ხუსკივაძესთან მეგობრულათ განწყობილი იყო და, თუ ცხადათ არა, გულში მაინც პირველ კაცათა მას თვლიდა. ამ დაბის დამამშვენებელი დიდხანს ორი პიროვნება იყო: თ. ხუსკივაძე და დეკ. დ. ღამბაშიძე, რომლებიც ერთად ემსახურებოდენ სწავლა-აღზრდის საქმეს. თეოფილე მუდამ გულით შემწე-დამხმარე იყო დაჩაგრულთა. ზესტაფონის და ქუთაისის საოლქო სასამართლოში მსახურების დროს საქმის გაგება-გაკეთებისათვის მასთან მისულ სოფლის ხალხს ის, ვალდებულიც რომ არ ყოფილიყო, სიამოვნებით უკეთებდა საქმეს და მალე ისტუმრებდა. შინ თუ რა პატივისცემის ღირსია ასეთი ადამიანი, მწერალიც რომ არ იყოს იგი, ეს ჩემზე უკეთ იციან იმ დაჩაგრულმა სოფლელებმა, რომლებსაც არა ერთგზით უგემნიათ წვრილ ფეხა ბიუროკრატებისაგან შეურაცხყოფა ცდენა და საგრძნობელი ხარჯიც უბრალო ცნობის მიცემის დროს.

მაშ გამარჯვება და დღეგრძელობა თვალსაჩინო ლიტერატორს, მუშაკს, და კერძო ცხოვრებაში უმწიკვლო ადამიანს, ძვირფას იუბილიარს თეოფილე ხუსკივაძეს.

მისი ნამოწაფარი მდ. ს. ჭუმბურიძე.

რუსეთი.

მონარქისტებს აზრათა აქვთ მოსკოვში მოიწვიონ მემარჯვენეთა ყრილობა და დაარსონ მუდმივი საბჭო.

———

მოსკოვში გაუჩხრეკიათ ტერმიკარტიჩევის საკომისიო კანტორა და სპეკულიაციის დამმოწმებელი საბუთები აღმოუჩენიათ.

———

რუსულ გაზეთების ცნობით, შტიურმერი ომის გაგრძელების მომხრეა და სწამს მას, რომ რუსეთი გაიმარჯვებს.

უცხოეთი.

ჰაგის გაზეთების ცნობით გერმანეთის მიერ დაპყრობილ პოლონეთში ებრაელთა უფლებები შეზღუდული ყოფილა

———

ახალ ზელანდიაში საყოველთაო სამხედრო ბეგარა შემოღებულიათ.

———

პოლონელების ცნობილი ლიდერი ჟურნალისტი პილტიცი უკმაყოფილებას გამოსთქვამს პოლონეთის ავტონომიის კადეტების შედგენილ პროექტის გამო და მოითხოვს, რომ ეხლავე შემუშავებულ იქნეს სახე პოლონეთის მომავალ ავტონომიისა და დამტკიცებულ იქნეს უმაღლესი მთავრობის მიერ.

———

როგორც ლონდონიდან იტყობინებიან ულსტერელ ნაციონალისტთა ხმა უსმენია ინგლისის მთავრობას და ირლანდიის ავტონომიის განხორციელება გადაუდვია.

———

ინგლისის მინისტრს მოსვენებას არ აძლევენ და თხოვნა თხოვნაზე მოდის სხვა და სხვა ქვეყნებიდან, ირლანდიელთა მეთაური კეზმენტი დახვრეტას გადაარჩინეთო.

———

სერბეთის კოროლ პეტრეს უსაუბრნია საფრანგეთის ელჩთან აღტაცებით ულაპარაკნია ფრანგების გამარჯვებაზე და სრული იმედი გამოუთქვამს, რომ საბოლოოდ ოთხთა შეთანხმება გაიმარჯვებსო.

პროვინციის ცხოვრება.

სოფელი კოკბოული. (ზემო-იმერეთი) ნათქვამია „გადამხდა გადასავალი, აწ უარესაც მოველიო“, სწორეთ ასე ემართება წელსაც მთლად ზემო-იმერეთის მხარეს. ჯერ იყო და წარსულმა 2—3 წლების მოუსავლობამ და ომისაგან გამოწვეულმა შედეგებმა დიდს საგონებელში ჩააგდო ბეჩავი ხალხი, და ახლა ამ ორი თვის წარმოუდგენელმა გვალვებმა, ხომ ლამის სული ამოგვაძროს! შუა მაისის აქეთ ერთი წვეთი წვიმა რა არის, ისიც არ ღირსებია აქეთკენ ნათესობას, რის გამოც სიმინდის ყანები ერთიანად აიშუშა და ჭკნება თუ პურისა და ქერის ყანებს შუა მაისამდის საიმედო პირი უჩნდა, ისენიც აუტანელმა სიცხეებმა მოასწრაფეს და მოსავალი გაანახევრა. სათიბები და საერთოდ საქონლის საძოვარი მინდვრები გადახმენ, ვენახებს თუმცა საშუალოთ აბია, მაგრამ სიცხეებმა მტევანს ზრდა არ მისცა და, თუ ამასაც დროზედ წვიმამ არ მოუსწრო, ღვინის მოსავალიც არ იქნება სახეირო.

თანამედროვე ომმა ჩვენი ხალხის ოჯახები ყმაწვილ-კაცებისაგან სულ ერთიან დააცარიელა. ოჯახს ვერ ნახავ, რომ ომში 1—2—3 და ხშირათ მეტიც ახალგაზრდა არ ჰყავდეს გაწვეული და ისე სოფლებში ფეხს ვერ გადადგამს ადამიანი, რომ თითო უბანში არ შეხვდე საცოდავათ მოკრიახე დედ-მამას და უსუსურ დაქმათ, რომლებიც დასტირიან უდროოდ დაღუპულთ თავიანთ შვილებს, და ძმები მაგრამ ამ ბოლო დროს გამოცხადებულ წითელ და ლურჯ ბილეთიანების მოლაშქრეთა გაწვევამ, სწორედ რომ გამოუთქმელი მოთქმა და ვიში დაბადა საზოგადოებაში. უპატრონოდ რჩებიან და იმიტომ!

სამეურნეო აღწერა აქეთ კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ, მე როგორც ვაკვირდები, ასე ნაჩქარევად მოხდენილი აღწერილობიდგან სახეირო არა გამოვა რა, როგორსაც ჩვენ მოველოდით.

მდვ. ვდ. მაჭარაშვილი.

ჩვენი ფოსტა.

დ. სამტრედიაში. კლ. ქაჩხაძეს. თქვენ ასე სწერთ:

„წვიმა იყო. ქარი ქროდა,
მთვარე ნაზად ანათებდა“.

და ასეთ დექსს, ჩემო კარგო, რედაქტია არ აქებდა.

———

აძ. სერგ. ტ—ლ—ს.

„მიმატოვა, აქ დამტოვა,
სხვა იპოვა, კადფრინდა“.
არ იწყო, „ვა“, ისევ მოვა,
მაგრამ დექსი არგვინდა.

———

ს. ამბროლაური. მიხ. სხი აძეს

„შეტრიალდა და განათებული თვალებით მიაცქერდა მის სიტყვებს“.

ჩვენც ბევრი ვატრიალეთ თქვენი წერილი მაგრამ მაინც ვერ გავიგეთ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულათ უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

liedesgaden für die. Kriegsgefangenen.

აქ ბიუროო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensiugnenstrasse, № 48, A. A. Вахерхтъ.

ან კიდევ მეორე:

Banbue populaire Suisse, Fond Russepo[illegible] de prisonniers de guerre.

ცრობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროსაგან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное suisse. recommandée Comite internasional de Ia Croix rouge Agence des prisonniers be guerre Genéve.



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 7 ს.	25 წ
„	— საღამ.	— 8 ს.	50
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს.	40
„	— ღამის	— 2 ს.	20
ფოთიდან	— დილის	— 10 ს.	26
ტყიბულიდან	— საღამოს	— 6 ს.	50
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს	24

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს.	—
„	— ღამის	— 12 ს.	15
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს.	3
„	— დილის	— 5 ს	55
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.	8
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	20
შორაპნისაკენ	— დღით	— 5 ს.	20

მუშაობს ხრესილის მაღნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჭავრზე და, როგორც ნამდვილ გამოირკ[illegible] კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკ[illegible] საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიუ[illegible] ავათმყოფობას, ეგზემას, სისიგნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყ[illegible] ფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკ[illegible] თარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბან[illegible] მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. ს[illegible] გურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილი[illegible] „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობი[illegible]

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნ სამკურნელელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმაროენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილს** საფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაკტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაკტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.